



ხავერდ სერკასი

საღამინის ჯარისკაცები

დიდგენის
ბიბლიოთეკა

ხავეერ სერკასი
სალამინის ჯარისკაცები

Javier Cercas
SOLDADOS DE SALAMINA

ესპანურიდან თარგმნა რამაზ ხატიაშვილმა

გარეკანზე: ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე მარინა ჟინესტა (ხუან გუზმანის ფოტო)

© Javier Cercas, 2001

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-610-0

www.diogene.ge

ედღვნებათ რაულ სერკასსა და მერსე მასს

„ღმერთებმა დამალეს ის, რაც ადამიანებს აცოცხლებს“
ჰესიოდე, „სამუშაონი და დღენი“

ავტორის შენიშვნა

ეს წიგნი მრავალრიცხოვანი ნაშრომის კითხვისა და ხანგრძლივი საუბრების ნაყოფია. ბევრი ადამიანი, რომლებთანაც ვალში ვარ, რომანში სახელებითა და გვარებითაა ნახსენები. მათ შორის, ვინც ნახსენები არ არის, მინდა, აღვნიშნო: ჟუზეპე კლარა, ჟორდი გარსია, ელიან ლავო, ჟან-მარი ლავო, ხოსე-კარლოს მაინერი, ჟუზეპე მარია ნადალი და კარლოს ტრიასი, განსაკუთრებით კი მონიკა კარბახოსა, რომლის წიგნი სახელწოდებით „1927 წლის პროზა: რაფაელ სანჩეს მასასი“ ძალიან გამომადგა. ყველას დიდი მადლობა.

ნაწილი პირველი
ტყის მეგობრები

1994 წლის ზაფხულში, უკვე ექვსზე მეტი წლის წინ, პირველად მოვისმინე ამბავი იმის შესახებ, როგორ გაიყვანეს დასახვრეტად რაფაელ სანჩეს მასასი. აქამდე სულ ცოტა ხნით ადრე სამი რამ შემემთხვა: ჯერ მამა გარდამეცვალა, მერე ცოლმა მიმატოვა, შემდეგ კი მწერლობისთვის თავის დანებების გადაწყვეტილება მივიღე. ვიტყუები. ამ სამი რამიდან მხოლოდ პირველი ორია სიმართლე, სრული სიმართლე, რასაც მესამეზე ვერ ვიტყვი. სინამდვილეში მწერლის საქმიანობა ნორმალურად დანებებულიც კი არ მქონდა და, ალბათ, დამეთანხმებით, რთულია, შეწყვიტო ის, რაც არასდროს დაგინყია. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჯერ ხეირიანად არდანებულ მწერლობაზე ფიქრს დავანებე თავი. პირველი რომანი 1989 წელს გამოვაქვეყნე და ორი წლით ადრე გამოცემული მოთხრობების კრებულის მსგავსად, საზოგადოებამ ისიც შესაშური გულგრილობით მიიღო. მიუხედავად ამისა, ჩემმა პატივმოყვარეობამ და ერთი კარგი მეგობრის მიერ დაწერილმა საქებარმა რეცენზიამ ერთობლივად დამარწმუნეს, რომ შემეძლო, კარგი მწერალი დავმდგარიყავი, თუ გაზეთის რედაქციაში მუშაობას თავს დავანებებდი და მთელ დროს წერას დავუთმობდი. ამ რადიკალური ცვლილების შედეგი ხუთწლიანი ეკონომიკური, ფიზიკური და მეტაფიზიკური კრიზისი იყო, ასევე – სამი დაუმთავრებელი რომანი და საშინელი დეპრესია, რომელსაც ორი თვის განმავლობაში სავარძელზე, ტელევიზორის წინ ვყავდი მიჯაჭვუ-

ლი. როდესაც ჩემს ცოლს ყელში ამოუვიდა ყველა გადასახადის მხოლოდ საკუთარი ძალებით გასტუმრება (მამაჩემის დაკრძალვის ხარჯებიც მან გაიღო) და გამორთული ტელევიზორის წინ მწოლიარე თვალცრემლიანი ქმრის ცქერა, სახლიდან უკანმოუხედავად წავიდა და ეს ზუსტად მაშინ მოხდა, როდესაც გამოკეთება დავინყე. ჰოდა, მეც ისლა დამრჩენოდა, რომ მწერლობაზე ოცნებისთვის თავი დამენებებინა და გაზეთის რედაქციისთვის სამსახურში აღდგენის თხოვნით მიმემართა.

ის-ის იყო, ორმოცი წელი შემისრულდა, მაგრამ მაინც მიმიღეს. შეიძლება, გამართლების ამბავია და შეიძლება, იმის, რომ სულაც არ ვარ ცუდი ჟურნალისტი (რაც უნდა ცუდი მწერალი ვიყო). ისე კი, სიმართლე თუ გნებავთ, მთავარი მიზეზი სულ სხვა მგონია: გაზეთში უბრალოდ ვერავინ იპოვეს, ვინც იმ კონკრეტულ ადგილზე მუშაობას ასეთი დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ დათანხმდებოდა. კულტურის განყოფილებაში გამამწესეს, სადაც, როგორც წესი, ისეთ ადამიანებს უკრავენ ხოლმე თავს, რომელთათვისაც სხვა არაფერი ემეტებათ. თავიდან ამკარად ვგრძნობდი, რომ ორგულობისთვის მსჯიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ეს პირდაპირ არავის უთქვამს. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ჟურნალისტიც აზრით, კოლეგა, რომელიც ჟურნალისტობას თავს ანებებს და რომანების წერაზე გადადის, არც მეტი, არც ნაკლები, მოღალატეა. ჰოდა, მეც წამსვე თავზე დამაყარეს ყველაფერი, გარდა ღირექტორისთვის კუთხის კაფეტერიიდან ყავის მოტანის ვალდებულებისა, თანამშრომლების უმეტესობა კი, ამ ყველაფერთან ერთად, დამცინავ რეპლიკებსაც არ იშურებდა. საბოლოოდ, როგორც ჩანს, დრომ თავისი გაიტანა და ჩემი „ლალატიც“ დავინყებას მიეცა, რადგან სულ მალე რედაქტორობა დავინყე, შემდეგ – სტატიების წერა და ბოლოს ინტერვიუების მომზადებამდეც მივედი. სწორედ მაშინ, 1994 წლის ივლისში, გავიცანი რაფაელ სანჩეს ფერლოსიო, რომელიც იმ დროს ლექციებს ატარებდა უნივერსიტეტში. მშვენივრად ვიცოდი, რომ ძალიან არ უყვარდა ჟურნალისტებთან საუბარი, მაგრამ ერთი მეგობრის დახმარებით (უფრო სწორად, ეს იყო მეგობრის მეგო-

ბარი, რომელმაც ფერლოსიოს ქალაქში ჩამოსვლისა და ცხოვრების საქმე მოაგვარა), მოკლე საუბარზე დავითანხმე. დიახ, სწორედ საუბარზე, რადგან სიტყვა „ინტერვიუ“, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მგონია. თუ მაინც გავჯიუტდები და ასე დავარქმევ, მაშინ ისიც უნდა ვალიაო, რომ ეს იყო ყველაზე უცნაური ინტერვიუ, რომელიც ცხოვრებაში ჩამინერია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კაფე „ბისტროს“ ტერასაზე, სადაც შეხვედრა გვქონდა დაგეგმილი, ფერლოსიო მეგობრების, მონაფეების, თაყვანისმცემლებისა და მიმდევრების გარემოცვაში გამოჩნდა; ამას დაუმატეთ მისი დაუდევარი ჩაცმულობა და უცნაური აღნაგობა, რომელშიც საოცრად იყო შერწყმული კასტილიელი არისტოკრატისა (რომელსაც ეს არისტოკრატობა ეთაკილება) და ბებერი აღმოსავლელი მეომრის (მასიური თავი, უკან გადანეული გაჭალარავებული თმა, უხეში და დაღლილი სახე, კეხიანი ცხვირი და წვერით დაფარული ლოყები) იერი. ამის შემხედვარე გაუთვითცნობიერებელ ადამიანს ფერლოსიო მონაფეების გარემოცვაში მყოფი რელიგიური გურუ ეგონებოდა. ამ ყველაფერთან ერთად, მან უარი განაცხადა, ეპასუხა ჩემს კითხვებზე და მითხრა, რომ თავის წიგნებში გარკვევით და მაქსიმალურად გულწრფელად ჰქონდა გაცემული ყველაფერზე პასუხი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩემთან საუბარი არ უნდოდა. პირიქით, თითქოს ცდილობდა, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანის კლიშე მოეშორებინა, ძალიან თავაზიანად იქცეოდა და შედეგად საოცრად სასიამოვნოდ შემოგვაღამდა კიდევ საუბარში. პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ თუ მე მას, ვთქვათ, ხასიათის მქონე და იღბლის მქონე პერსონაჟებს შორის განსხვავებაზე ვეკითხებოდი, ის ისე წაიყვანდა საუბარს, რომ, ვთქვათ, სალამინის ბრძოლაში სპარსული გემების დამარცხების მიზეზებზე მპასუხობდა; თუ შევეცდებოდი, რამენაირად გამეგო მისი მოსაზრება, ვთქვათ, ამერიკის დაპყრობიდან გასული ხუთი ასწლეულის განმავლობაში მომხდარ მოვლენებზე, ის ჟესტიკულაციითა და ძალიან დანვრილებით მიხსნიდა, ვთქვათ, როგორ უნდა შალაშინის სწორად ხმარება. ეს ყველაფერი საოცრად დამღლეელი იყო და, როდესაც ლუდის ბოლო კათხას

სვამდა, სწორედ მაშინ გაახსენდა მამამისის დახვრეტის ამბავი. ეს სწორედ ის ამბავია, რომელიც მას შემდეგ თითქმის ორი წლის განმავლობაში არ მადღევდა მოსვენებას. ისიც კი არ მახსოვს, ვინ და რატომ ჩამოაგდო იმ საღამოს სიტყვა რაფაელ სანჩეს მასასის შესახებ (შეიძლება, ეს ფერლოსიოს რომელიმე თანმხლები პირი იყო, ან თავად ფერლოსიო). მხოლოდ ის მახსოვს, რომ ფერლოსიომ სრულიად მოულოდნელად ამ ამბის მოყოლა დაიწყო:

– აქვია ის ადგილი, კულელის ეკლესიასთან, – მითხრა და შემომხედა. – ნამყოფი ხართ? არც მე. ბანიოლესთან ახლოსაა. ომი უკვე თითქმის დამთავრებული იყო. მის დანყებას მადრიდში შეესწრო და ჩილეს საელჩოს შეაფარა თავი. იქ წელიწადზე მეტი გაატარა და 1937 წლის ბოლო თვეები იყო, სატივრთო ავტომობილში დამალულმა რომ გააღწია ქალაქიდან. როგორც ჩანს, საფრანგეთში უნდოდა ჩასვლა, მაგრამ ბარსელონაში დაიჭირეს. კულელში, საზღვართან ძალიან ახლოს, სწორედ მაშინ მიიყვანეს, როდესაც ფრანკოს ჯარები ქალაქს უახლოვდებოდნენ. იქვე მოხდა ყველაფერი. მასობრივი დახვრეტის ოპერაცია იყო, როგორც ჩანს... და ქაოსურიც, რადგან რესპუბლიკელებს ომი უკვე წაგებული ჰქონდათ და პატარ-პატარა ჯგუფებად გარბოდნენ პირენეებისკენ. ამიტომაც, არა მგონია, სცოდნოდათ, რომ „ფალანგის“¹ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერას უახლოესი მეგობარი ჰყავდათ შეპყრობილი. მამაჩემი ძალიან უფრთხილდებოდა და სათუთად ინახავდა იმ შარვალსა და ქურთუკს. ჩემთვისაც ბევრჯერ აქვს ნაჩვენები. მგონი, არსად დაკარგულა. სადღაც უნდა მქონდეს შენახული. შარვალი სულ ტყვიებით იყო დახვრეტილი. გასროლისას რაღაც მომენტში მამამ ჩოჩქოლით ისარგებლა, გაიქცა და ტყეში დაიმალა. იქ ერთ პატარა ორმოში დამალულს ძაღლების ყეფისა და სროლის ხმა ესმოდა. რესპუბლიკელები საგულდაგულოდ ეძებდნენ და თან ჩქარობდნენ, რადგან ფრანკოს

¹ ესპანეთის ფალანგა (Falange Española) – ფაშისტური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 1933 წელს დაარსდა.

ჯარი უკვე ძალიან ახლოს იყო. მოულოდნელად მამაჩემმა ზურგს უკან ტოტების მტვრევის ხმა გაიგონა. რომ მიტრიალდა, ერთ-ერთი ჯარისკაცი დაინახა, რომელიც პირდაპირ თვალებში უყურებდა. მერე სადღაც შორიდან ხმა გაისმა: „მანდ არის?!“. როგორც მამა ჰყვებოდა, მამაკაცმა მას რამდენიმე წამს კიდეე უყურა, შემდეგ ისე, რომ თვალი არ მოუცილებია, დაიყვირა: „არა, აქ არავინაა!“, მიტრიალდა და წავიდა.

ფერლოსიო შეჩერდა და მისი თვალები იმ პატარა ბავშვის თვალებს დაემსგავსა, რაღაცა რომ იცის, მაგრამ არ ამბობს და სიცილსაც ძლივს იკავებს.

– ტყეში რამდენიმე დღის განმავლობაში იმალებოდა. ჭამდა იმას, რასაც პოულობდა ან რასაც პატარა ფერმებში მისცემდნენ. იმ ტერიტორიას საერთოდ არ იცნობდა. ამას ისიც დაემატა, რომ სათვალე დაემტვრა და თითქმის ველარაფერს ხედავდა. სულ იმას ამბობდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავრჩებოდი ცოცხალი, ის სოფლელი ბიჭები რომ არ გამეცნოო. კორნელა-დე-ტიერი ერქვა სოფელს, თუ სწორად მახსოვს. ალბათ, ახლაც ასე ჰქვია. მოკლედ, ეს ბიჭები ყველანაირად ეხმარებოდნენ, იცავდნენ და აჭმევდნენ იქამდე, სანამ ნაციონალები არ გამოჩნდნენ. ძალიან დამეგობრებულან და ყველაფერი რომ დასრულდა, რამდენიმე დღე კიდეე გაუტარებია მათ სახლში. მას შემდეგ, როგორც მგონია, ერთმანეთი აღარც უნახავთ, თუმცა მამა ძალიან ხშირად მიყვებოდა მათზე. კარგად მახსოვს, სულ იმ სახელით იხსენიებდა, თავად რომ დაირქვეს: „ტყის მეგობრები“.

პირველად ეს ამბავი სწორედ მაშინ და სწორედ ასეთი სახით მოვისმინე. რაც შეეხება ზოგადად ინტერვიუს, მისი გადარჩენაც მოვახერხე... ან, შეიძლება, თვითონ გამოვიგონე. როგორც მახსოვს, სალამინის ბრძოლაზე არ გვილაპარაკია, სამაგიეროდ, ნამდვილად ვისაუბრეთ ხასიათის მქონე და იღბლის მქონე პერსონაჟებს შორის განსხვავებაზე; არც შალაშინის სწორად ხმარებაზე ჩამოვარდნილა სიტყვა, ამერიკის დაპყრობიდან გასული ხუთი ასწლეულის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს კი ნამდვილად შევე-

ხეთ; კულელში განხორციელებულ დახვრეტასა და რაფაელ სანჩეს მასასს რაც შეეხება, არც ამბაზე გამომავილებია განსაკუთრებული ყურადღება და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდი, რაც ფერლოსიომ ძალიან მოკლედ მიაბო. კაცმა რომ თქვას, სანამ ამ ინტერვიუს ჩავნერდი, სანჩეს მასასის თემით საერთოდ არ ვიყავი დაინტერესებული და ჩემთვის მისი სახელი არაფრით განსხვავდებოდა იმ უამრავი სხვა ფალანგისტი მწერლისა და პოლიტიკოსის ბუნდოვანი სახელებისგან, რომლებიც ესპანეთის ისტორიის უკანასკნელმა წლებმა ისე სასწრაფოდ დაასაფლავა, თითქოს მესაფლავებეს ეშინოდათ, რომ შეიძლებოდა მთლად მკვდრები არ ყოფილიყვნენ.

კაცმა რომ თქვას, მართლაც არ იყვნენ მკვდრები. ყოველ შემთხვევაში, მთლად. ისტორიამ იმის შესახებ, თუ როგორ უყურებდა მწერალი სიკვდილს თვალებში და გარემოებებმა, რომლებიც ამ მოვლენას თან ახლდა, ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომ ფერლოსიოსთან ჩანერილი ინტერვიუს შემდეგ სანჩეს მასასისადმი ერთგვარი ინტერესი გამიჩნდა. ასევე დავინტერესდი სამოქალაქო ომით, რომელზეც მანამდე ზუსტად იმდენი ვიცოდი, რამდენიც სალამინის ბრძოლაზე ან შალაშინის სწორად გამოყენებაზე. ის საშინელი ისტორიები, რომლებიც ამ ომზე მესმოდა, ყოველთვის მოხუცების ნოსტალგიის გამართლებად მიმაჩნდა, ასევე ერთგვარ სანვადად, რომლის საშუალებითაც ფანტაზიის არმქონე მწერლები შთაგონებას იქმნიდნენ. ისე დაემთხვა (ან, შეიძლება, სულაც არ იყოს დამთხვევა), რომ სწორედ იმ პერიოდში ესპანელი მწერლების წრეში ფალანგისტი კოლეგების რეაბილიტაციის ტენდენცია გაჩნდა. უფრო სწორად, ეს ამბავი ოთხმოციანი წლების შუა პერიოდიდან იღებს სათავეს, როდესაც რამდენიმე დახვეწილმა და გავლენიანმა გამომცემლობამ ერთ-ერთი ასეთივე დახვეწილი და მივიწყებული ფალანგისტი მწერლის წიგნი გამოსცა. იმ დროისთვის კი, როდესაც მე სანჩეს მასასით დავინტერესდი, ზოგიერთ ლიტერატურულ წრეში უკვე არა მხოლოდ კარგი, არამედ ბევრი სხვა, მათ შორის საშუალო დონის და აშკარად ცუდი ფალანგისტი მწერლების ამოქექვის პროცესიც იყო დაწყებული. ზოგიერთი

გულუბრყვილო ადამიანი (ისევე, როგორც ზოგიერთი ორთოდოქსი მემარცხენე და უბრალოდ ინტრიგანი) ამტკიცებდა, რომ ფალანგისტი მწერლების რეაბილიტაცია თავად ფალანგიზმის რეაბილიტაციას (ან მისი რეაბილიტაციისთვის ნიადაგის მომზადებას) ნიშნავდა. სინამდვილეში კი სრულიად სანინააღმდეგო ხდებოდა: ფალანგისტი მწერლის რეაბილიტაცია მხოლოდ და მხოლოდ მწერლის რეაბილიტაცია იყო, უფრო ზუსტად კი – კარგი მწერლების რეაბილიტაციის საშუალებით საკუთარი თავის, როგორც მწერლების, რეაბილიტაცია. იმას ვგულისხმობ, რომ ეს მოდა, საუკეთესო შემთხვევებში (ცუდი შემთხვევების ხსენება არ ღირს), იმ ბუნებრივი მოსაზრებიდან აღმოცენდა, რომლის მიხედვით, ნებისმიერი მწერალი თვითონ ქმნის თავის ტრადიციას, აქვს ერთგვარი მოთხოვნილება, იყოს სკანდალური, რომ ლიტერატურა ერთია, ცხოვრება კი – მეორე, რომ, აქედან გამომდინარე, შეიძლება იყო კარგი მწერალი, მაგრამ ცუდი პიროვნება (ან პიროვნება, რომელიც მხარს უჭერს და წაახალისებს ცუდ იდეებს) და რომ საზოგადოება უსამართლოდ მოექცა ზოგიერთ ფალანგისტ მწერალს, რომლებმაც, ანდრეს ტრაპიელიოს რომ დავესესხოთ, მოიგეს ომი, მაგრამ დამარცხდნენ ლიტერატურის ისტორიაში. ასე იყო თუ ისე, ამ კოლექტიურ ექსპუმაციას არც სანჩეს მასასისთვის აუვლია გვერდი: 1986 წელს მისი ლექსების სრული კრებული გამოიცა; 1995 წელს ერთ ძალიან პოპულარულ კოლექციაში შევიდა მისი რომანი „პედრიტო დე ანდიას ახალი ცხოვრება“; 1996 წელს კი მისი კიდევ ერთი რომანი, „როსა კრიუგერი“, გამოქვეყნდა, რომელიც 1984 წლამდე ერთხელაც არ გამოქვეყნებულა იყო. ყველა ეს ნიგნი გულდასმით წავიკითხე, სიამოვნებითაც კი, თუმცა ენთუზიაზმის გარეშე. დიდი ხანი არ დამჭირვებია იმის გასაცნობიერებლად, რომ სანჩეს მასასი კარგი მწერალი იყო, თუმცა შესანიშნავი მწერალი ნამდვილად არ ეთქმოდა. ისე, სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, შევძლებ თუ არა კარგ და შესანიშნავ მწერალს შორის განსხვავების ახსნას. მახსოვს, მომდევნო თვეებსა და წლებში ნიგნების კითხვასთან ერთად სანჩეს მასასის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციას ვაგროვებდი და

მის ნაწერებში კულელის ეპიზოდის თაობაზე ზოგად, ძალიან ბუნდოვან მინიშნებებსაც ვამჩნევდი.

გავიდა დრო და ეს ამბავიც მიმავიწყდა. ერთ დღეს, 1999 წლის თებერვლის დასაწყისში, როდესაც სამოქალაქო ომის დასრულებიდან 60 წლისთავი აღინიშნებოდა, გაზეთის რედაქციაში გაუჩნდათ აზრი, რომ დანერილიყო სტატია პოეტ ანტონიო მაჩადოს ცხოვრების ძალიან სევდიანი დასასრულის შესახებ. 1939 წლის იანვარში თავის მოხუცებულ დედასთან, ძმა ხოსესთან და სხვა ასობით ათას შეშინებულ ესპანელთან ერთად მაჩადო ბარსელონაში შესულ ფრანკოს ჯარებს გაექცა, საფრანგეთის საზღვარი გადაკვეთა და იქვე პატარა ქალაქ კოლიურს შეაფარა თავი, სადაც გარდაიცვალა კიდევ სულ ცოტა ხანში. ეს ამბავი ყველასთვის ძალიან ცნობილი იყო, რამაც მაფიქრებინა, რომ ფაქტობრივად ვერ იპოვიდი კატალონიურ (ან არაკატალონიურ) გაზეთს, რომელიც ამ თარიღთან დაკავშირებით მაჩადოს ამბავს არ გაიხსენებდა. მოკლედ, გადავწყვიტე, სტატია დამეწერა და სწორედ მაშინ გამახსენდა კიდევ ერთხელ სანჩეს მასასის ამბავი, რადგან მისი არშემდგარი დახვრეტა დაახლოებით იმ დროს მოხდა, როდესაც მაჩადო გარდაიცვალა, ოღონდ საზღვრის აქეთა მხარეს. მახსოვს, მაშინ გავიფიქრე, რომ ამ ორ საშინელ მოვლენას (თითქმის ისტორიული ქიაზმი) შორის სიმეტრია და კონტრასტი, შეიძლება, შემთხვევითი არც იყო და თუ შევძლებდი, ერთ სტატიაში ამ ორი მოვლენის შესახებ სრულად მომეთხრო, ისე, რომ არაფერი გამომრჩენოდა, იქნებ ეს უცნაური პარალელები ახალ მნიშვნელობაში გადაზრდილიყო. ეს მოსაზრება გამიძლიერდა, როდესაც მასალების შეგროვებისას სრულიად შემთხვევით კოლიურში მანუელ მაჩადოს გამგზავრების ამბავს გადავანყედი. ეს მისი ძმის, ანტონიოს, გარდაცვალებიდან სულ ცოტა ხანში მოხდა. მაშინვე შევუდექი წერას და გამომივიდა არცთუ უინტერესო სტატია სახელწოდებით „არსებითი საიდუმლო“. რადგან სტატია ამ წიგნისთვისაც არსებითი მნიშვნელობისაა, ქვემოთ სრულად გთავაზობთ მას:

„ზუსტად 60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომის დასრულებიდან სულ ცოტა ხანში ანტონიო მაჩადო გარდაიცვალა. ყველა ამბავს შორის, რომლებიც იმ მოვლენებს უკავშირდება, მაჩადოს ამბავი ერთ-ერთი ყველაზე სევდიანია, რადგან ცუდად მთავრდება. ის მრავალჯერაა მოთხრობილი. ვალენსიიდან გამოქცეული მაჩადო დედასთან და ძმასთან ერთად 1938 წლის აპრილში ჩავიდა ბარსელონაში. მათი დროებითი ნავსაყუდელი ჯერ სასტუმრო „მაჟესტიკი“ იყო, შემდეგ „კასტანიერში“ გადავიდნენ, ერთ პატარა და ძველებურ სახლში, რომელიც სანტ-ჟერვასის ხეივანში მდებარეობდა. იქ ანტონიომ ზუსტად ის საქმე გააგრძელა, რასაც ომის დაწყების დღიდან აკეთებდა: თავისი წერილებითა და პუბლიკაციებით რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას იცავდა. უკვე მოხუცი, დაღლილი და სნეული იყო. ფრანკოს დამარცხებისა და აღარ სჯეროდა ისე, როგორც ადრე. ამიტომაც დაწერა: „ეს დასასრულია. დღე-დღეზე დაეცემა ბარსელონა. სტრატეგების, პოლიტიკოსებისა და ისტორიკოსებისთვის ყველაფერი დღესავით ნათელია: ომი წავაგეთ. თუმცა, ჰუმანური თვალსაზრისით, ასე დარწმუნებული სულაც არა ვარ... იქნებ მოვიგეთ კიდევ“. ვინ იცის, წინადადების მეორე ნაწილში მართალიც იყო. ყოველ შემთხვევაში, პირველში რომ არ შემცდარა, ეს ნამდვილად ვიცით. 1939 წლის 22 იანვრის ღამით, ფრანკოს ჯარების ბარსელონაში შესვლამდე ოთხი დღით ადრე, მაჩადო და მისი ოჯახი ხალხის დიდ ნაკადს შეუერთდნენ და საფრანგეთის საზღვრისკენ აიღეს გეზი. ამ ნაკადში იყვნენ სხვა მწერლებიც, მათ შორის კორპუს ბარგა და კარლეს რიბა. სერვია-დე-ტერსა და ფიგერესთან ახლოს მდებარე პატარა დასახლება მეს-ფაიშატში ხანმოკლე გაჩერებების შემდეგ, როგორც იქნა, საზღვრამდე მიაღწიეს. 27 იანვრის ღამით, წვიმაში 600 მეტრის გავლის შემდეგ, საფრანგეთში გადავიდნენ. მანამდე იძულებული გახდნენ, ჩემოდნები მიეტოვებინათ, რადგან ფული საერთოდ აღარ ჰქონდათ. კორპუს ბარგას დახმარებით ჩავიდნენ კოლიურში და სასტუმრო „ბუნიოლ კინტანაში“ დაბინავდნენ. აქედან თვეზე ნაკლებიც არ გასულიყო, რომ პოეტი გარდაიცვალა.

ანტონიოს ქურთუკის ჯიბეში მისმა ძმა ხოსემ რამდენიმე ჩანა-
წერი აღმოაჩინა. ერთ-ერთი ლექსი იყო. ალბათ, ეს იყო პირველი
სტრიქონი მისი უკანასკნელი ლექსისა, რომელიც ვერ დაასრულა:
„ეს ლურჯი დღეები და ეს ბავშვობის მზე“.

ამბავი აქ არ სრულდება. ანტონიოს გარდაცვალებიდან ცოტა
ხნის შემდეგ მისმა ძმამ, პოეტმა მანუელ მაჩადომ, რომელიც ბურ-
გოსში ცხოვრობდა, ეს ამბავი უცხოური პრესიდან შეიტყო. მანუე-
ლი და ანტონიო უბრალოდ ძმები არ იყვნენ: ისინი ძალიან ახლოს
იყვნენ ერთმანეთთან. მანუელი 18 ივლისს აჯანყებას ბურგოს-
ში, ანუ ნაციონალების ზონაში, შეესწრო, ანტონიო კი – მადრიდ-
ში, ანუ რესპუბლიკელთა ზონაში. აქედან გამომდინარე, საცესბით
ლოგოკურია, თუ ვიფიქრებთ, რომ მადრიდში ყოფნის შემთხვევაში
მანუელი რესპუბლიკელების მიმართ იქნებოდა ლოიალური. ალ-
ბათ, აზრი არ აქვს იმ კითხვის დასმას, რა იქნებოდა, ანტონიო რომ
ბურგოსში ყოფილიყო. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ
ძმის გარდაცვალების ამბის გაგებისთანავე მანუელმა საზღვრის
გადაკვეთის უფლება აიღო და ესპანეთის გადამწვარ ტერიტორია-
ზე რამდენიმედღიანი მოგზაურობის შემდეგ კოლიურში ჩავიდა.
სასტუმროში მისულმა შეიტყო, რომ დედამისიც გარდაცვლილიყო.
სასაფლაოზე წავიდა. იქ, დედისა და ძმის საფლავებთან, თავისი
მეორე ძმა, ხოსე ნახა. ისაუბრეს. ორი დღის შემდეგ კი მანუელი
ბურგოსში დაბრუნდა.

მაგრამ ისტორია (ყოველ შემთხვევაში, ის ისტორია, რომელიც
დღეს მინდა გაიგებოთ) არც აქ სრულდება. თითქმის იმავე დროს,
როდესაც ანტონიო მაჩადო კოლიურში კვდებოდა, კულელის ტა-
ძართან ახლოს რაფაელ სანჩეს მასასის დასახვრეტად ემზადებოდ-
ნენ. სანჩეს მასასი კარგი მწერალი იყო. ასევე, როგორც „ფალან-
გის“ ერთ-ერთი იდეოლოგი და დამფუძნებელი, ის იყო ხოსე ან-
ტონიო პრიმო დე რივერას მეგობარი. მისი ომში მონაწილეობის
პერიპეტეები იდუმალებითაა მოცული. რამდენიმე წლის წინ მისმა
შვილმა, რაფაელ სანჩეს ფერლოსიომ, თავისი ვერსია მიამბო. არ
ვიცი, სიმართლეა ეს თუ არა, ამიტომ უბრალოდ სიტყვასიტყვით